

# 112-ის ახალი სათვალთვალო კამერები

2024 წლის 12 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა 112-მა ჩინური კომპანია Dahua-სგან, 84 963 ლარის ღირებულების 30 სათვალთვალო კამერა შეისყიდა. ეს არ არის სახელმწიფო უწყებების მხრიდან ჩინური წარმოების კამერების შეძენის პირველი შემთხვევა [1]. აღნიშნული კომპანია, არაერთ საერთაშორისო სკანდალშია გახვეული.

## მთავარი ფაქტები

**საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს სანქცირებულ ჩინურ კომპანიებთან ურთიერთობას**

– 2022 წელს, აშშ-ს კომუნიკაციების ფედერალურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება Dahua-სგან საკომუნიკაციო აღჭურვილობის შეძენა ან იმპორტი აეკრძალა. ამავდროულად, Dahua ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ "ჩინურ სამხედრო კომპანიადაა" დასახელებული, და, შესაბამისად, მისი სადაზვერვო კამერებისა და სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის შეძენა ამერიკაში აკრძალულია.

– აშშ-ს მსგავსად, 2023 წელს ამ კომპანიის მიერ წარმოებული კამერების აკრძალვა განიხილა ავსტრალიის მთავრობამაც და ავსტრალიის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოებმა მიიღეს Dahua-ს პროდუქციის შეზღუდვის გადაწყვეტილება. თავდაცვის მინისტრმა და პრემიერ-მინისტრის მოადგილემ განაცხადეს, რომ ისინი თავდაცვის დეპარტამენტის შენობიდანაც მოაშორებდნენ Dahua-ს კამერებს

**საქართველოს ხელისუფლება კვლავაც აგრძელებს უკრაინაში ომის საერთაშორისო სპონსორებთან ურთიერთობას.**

უკრაინის კორუფციის პრევენციის ეროვნულმა სააგენტომ კომპანია Dahua "ომის საერთაშორისო სპონსორად" გამოაცხადა. 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, Dahua-მ გააგრძელა რუსეთის უზრუნველყოფა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღჭურვილობით.

**საქართველოს ხელისუფლება კვლავაც უგულებელყოფს კიბერ უსაფრთხოების სფეროში არსებულ გამოწვევებს.**

– ლატვიის კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, Dahua-ს კამერებზე მარტივია გარე აქტორების მხრიდან წვდომა, რაც ზრდის კიბერთავდასხმების რისკებს.

[1] საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ მანამდე შეძენილი კამერების თითქმის 80% ჩინური კომპანიების Hangzhou Hikvision Digital Technology Co., Ltd.-ს (Hikvision) ან Zhejiang Dahua Technology Co., Ltd-ს (Dahua)-ს მიერაა წარმოებული.

– კიბერთავდასხმების მზარდი რისკების გამო, კომპანიის მიერ წარმოებული კამერების საჯარო უწყებების შენობებში დაყენება 2023 წელს აიკრძალა დიდ ბრიტანეთშიც.

საქართველოს ხელისუფლება კონტრაქტების გაფორმებისას უგულებელყოფს კომპანიების შელახულ საერთაშორისო რეპუტაციას ადამიანის უფლებებთან მიმართებაში.

გარდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა, Dahua-ს სახელი რასიზმისა და დისკრიმინაციის ბრალდებებთან არის ასოცირებული. კერძოდ, თავად კომპანიის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, Dahua აწარმოებს კამერებს, რომლებსაც კონკრეტულად უიღურების ამოცნობა შეუძლიათ, რაც შესაძლებელს ხდის ამ მონაცემების ავტომატურად იდენტიფიცირებას და შესაბამის სახელმწიფო უწყებებისთვის მიწოდებას.

ამგვარად, დასავლური სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ცდილობენ საეჭვო რეპუტაციის მქონე ჩინურ კომპანიებთან ურთიერთობების შეზღუდვას. ამ ფონზე, საქართველოს არალეგიტიმური მთავრობა საკუთარ ანტი-დასავლურ კურსს აძლიერებს და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების მიუხედავად, ჩინურ კომპანიებთან ინტენსიურად თანამშრომლობს.